

თპუ
ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭო
სხდომის ოქმი №08

თბილისი

23 აგვისტო 2012 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

ასოც. პროფ. ილონა საყვარელიძე, სრული პროფ. ნინო ორმოცაძე, სრული პროფ. მარიკა კუბლაშვილი, ასოც. პროფ. მ. კაჭარავა.

სტუდენტები: მეგი ბირკაძე, ანტონ სისოევი.

სხდომის თავმჯდომარე: ასოც. პროფ. ი. საყვარელიძე

სხდომის მდივანი: გ. გრიგორიანი

დღის წესრიგი:

1. თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით კომბინირებული გამოცდის დანიშვნის საკითხი;
2. თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დამტკიცებისა და კომბინირებული გამოცდის შემადგენელი კომპონენტების შეფასების მიზნით პედაგოგთა მოწვევის საკითხი;
3. თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით ჩასატარებელი გამოცდისათვის საგამოცდო საკითხების ნუსხის დამტკიცების საკითხი;
4. თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით შეფასების უწყისის დამტკიცების საკითხი.

მოისმინეს:

პირველ საკითხთან დაკავშირებით თპუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით კომბინირებული გამოცდის დანიშვნაზე, რომელიც ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის“ 2010 წლის 3 თებერვლის №8/ნ ბრძანებას. მან აღნიშნა, რომ არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების ოთხმა მსურველმა წარმოადგინა

არაფორმალური განათლების აღიარებისათვის განსაზღვრული დოკუმენტაცია, შესაბამისად მათ ჩაუტარდებათ კომბინირებული გამოცდა სპეციალობაში;

მეორე საკითხთან დაკავშირებით თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური არაფორმალური განათლების აღიარების კომისიის შემადგენლობის დანიშვნისა და კომბინირებული გამოცდის კომპონენტების შესაფასებლად პედაგოგთა მოწვევის თაობაზე;

მესამე საკითხთან დაკავშირებით თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ასოცირებული პროფესორის ილონა საყვარელიძის ინფორმაცია საგამოცდო საკითხების ნუსხის დამტკიცების თაობაზე;

მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით ჩასატარებელი გამოცდისათვის შეფასების უწყისის დამტკიცების თაობაზე;

აზრი გამოთქვს:

პროფესორმა ნ. ორმოცაძემ, პროფ.მ. კუბლაშვილმა.

ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭომ კენჭისყრის შედეგად ერთხმად გადაწყვიტა:

1. თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით დაინიშნოს კომბინირებული გამოცდა შემდეგ საგნებში:
 - ა) ბიოლოგია;
 - ბ) ქიმია;
 - გ) უცხო ენა (ინგლისური);
 - დ) თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები.
2. თქუ ჯანდაცვის ფაკულტეტის კბილის ტექნიკოსის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის III საფეხურის ფარგლებში მიღებული არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით მოწვეულ იქნას კომბინირებული გამოცდის კომპონენტების შემფასებელი პედაგოგები და დაინიშნოს არაფორმალური განათლების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) ილონა საყვარელიძე – კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) ნინო ორმოცაძე – კომისიის მდივანი;
 - გ) რუსუდან დევნოზაშვილი;
3. დამტკიცდეს საგამოცდო საკითხების ნუსხა წარმოდგენილი სახით (დანართი 1);
4. დამტკიცდეს შეფასების უწყისი (დანართი 2);
5. ეთხოვოს თქუ რექტორს აღნიშნული გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე:

ი.საყვარელიძე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

მ.კაჭარავა

სხდომის მდივანი:

გ. გრიგორიანი